საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-04/86

ქ. ბათუმი 24 ივნისი, 2022 წელი

ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)" მსმენელთა ჩარიცხვისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოწვევის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს 2022 წლის 12 მაისის სხდომის №20-19/01 ოქმის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)" და ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad -2 (3D მოდელირება)" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 30 მაისის N01-02/122 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)" სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 16 ივნისის N01-10/66 ბრძანების, ,,ბსუ-ს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)" მსმენელთა მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 21 ივნისის N01-02/143 ბრძანების, ..ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 22 ივნისის N01-02/146 ბრძანების და ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორის, ასისტენტ-პროფესორის მამუკა გოგელიას 2022 წლის 24 ივნისის N707541 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)" ჩაირიცხონ მსმენელები წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად.

2. წინამდებარე ბრძანებით ჩარიცხულ მსმენელთა ჯგუფებისათვის სასწავლო პროცესი წარმიართოს **2022 წლის 25 ივნისიდან 17 ივლისის ჩათვლით,** შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქუჩა N 15, აუდიტორია №301.
3. მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **„საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“** ჩატარებისათვის პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლად მოწვეული იქნეს გიორგი ბობოხიძე (სამუშაო დატვირთვა 1 ჯგუფზე - 40 საათი).
4. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის **„საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“** სასწავლო პროცესის ორგანიზება და მასთან დაკავშირებული ბსუ-ს სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა აღსრულება.
5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანების შესახებ პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა აცნობოს მსმენელებს და მოწვეული პერსონალს.
7. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, გიორგი ბობოხიძეს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს და მსმენელებს.
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**

,,ბსუ-ს მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“ მსმენელთა ჩარიცხვისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მოწვევის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 24 ივნისის N01-04/86 ბრძანების დანართი N1

მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის
,,საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“ მსმენელები

№	მსმენელის სახელი, გვარი	პირადი ნომერი
1	ავთანდილ ქიქავა	
2	გიორგი კუტუბიძე	
3	გოგიტა შაინიძე	
4	გრიგოლ დიდია	
5	დემეტრე ქაჯაია	
6	თორნიკე მეგრელიშვილი	
7	იონა წითელაძე	
8	ლუიზა კაკაბაძე	
9	ფადიკო აბუსელიძე	
10	ჯიმშერ დიასამიძე	